ხატია ვასაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი

კვიპროსის კონფლიქტის ანატომია – გამომწვევი მიზეზები და შედეგები

ხმელთაშუა ზღვის რეგიონი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი პრობლემური ნაწილია, რაც კვიპროსის ნახევარკუნძულზე თურქებსა და ბერძნებს შორის არსებულ დაპირისპირებაში გამოიხატება. კონფლიქტის წარმოშობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სახელდება კვიპროსის ეთნიკური მრავალფეროვნება. კვიპროსის მოსახლეობა 1.221.561 ადამიანია. მოსახლეობის 80% ეთნიკურად ბერძენია, ხოლო თურქული მოსახლეობა, დაახლოებით, 18%-ს შეადგენს [1]. საუკუნეების მანძილზე, სხვადასხვა სახელმწიფოს მხრიდან, კვიპროსის კუნძულის მიმართ ინტერესი დიდი იყო, რასაც განაპირობებდა კვიპროსის სტრატეგიული მდებარეობა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

ძველი ისტორიული წყაროები ადასტურებენ კუნძულ კვიპროსის კუნძულ კრეტასთან მჭიდრო ურთიერთობას. ძვ. წ. V საუკუნეში კუნძულზე ბერძნები გამოჩნდნენ, რამაც განაპირობა კუნძულის ბერძნული ცივილიზაციის ნაწილად გადაქცევა [2, 491]. ძვ. წ. VIII საუკუნიდან, სხვადასხვა პერიოდში, კვიპროსი ეგვიპტის, ასურეთის და სპარსეთის შემადგენლობაში შედიოდა [3, 56]. ძვ. წ 58 წელს კი, იგი რომის იმპერიამ დაიკავა. საინტერესო ცნობებია ალექსანდრე მაკედონელის მმართველობის პერიოდზეც – ამ დროს კვიპროსის კუნძული სრულად ელინისტური ცივილიზაციის ნაწილი ხდება.

მოგვიანებით, 1191 წელს, კუნძულზე მმართველობას ინგლისის მეფე, რიჩარდი ახორციელებს. ინგლისის ინტერესი კვიპროსის მიმართ შემდგომ პერიოდშიც მაღალი იყო. ინგლისელების შემდეგ, კუნძული ვენეციელებმა დაიკავეს (1489 წელს, საბოლოოდ, ვენეციის გავლენის ქვეშ მოექცა). ამ პერიოდში,

კვიპროსი გადაიქცა ხმელთაშუა ზღვის მნიშვნელოვან ცენტრად, რაც განაპირობა ვაჭრობის განვითარებამ, მისი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით. მიუხედავად კვიპროსის ეკონომიკური სიძლიერისა, მან ვერ გაუძლო ოსმალების შემოტევას და 1570 წელს ოსმალეთის იმპერიის ნაწილად გადაიქცა [2, 490]. ამ პერიოდიდან დაიწყეს ოსმალებმა კუნძულზე აქტიური დასახლება, თუმცა ძირითად მოსახლეობას ბერძნები (ქრისტიანები) წარმოადგენდნენ. ოსმალებმა მოახერხეს ევროპული მმართველობის ფორმის დანგრევა და შემოიღეს თავიანთი სისტემა-„მილეთი", ანუ მოსახლეობის დაყოფა რელიგიური ნიშნით [2, 490]. მიუხედავად ამგვარი დაყოფისა, ოსმალების მმართველობის (კვიპროსზე) პერიოდში, თურქი და ბერძენი კვიპროსელები მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ. კვიპროსელები თავისუფალნი იყვნენ რელიგიურ, ეკონომიკურ და კულტურულ საქმიანობაში [4, 15]. იმის გათვალისწინებით, რომ ოსმალეთის იმპერიის გაბატონებამდე, კვიპროსი ითვლებოდა ბერძნული დასახლების კუნძულად, მოსახლეობის დიდი ნაწილი მისდევდა ქრისტიანობას, თუმცა ოსმალეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში, კუნძულზე ეთნიკურად თურქები მასობრივად სახლდებოდნენ. საგულისხმოა, რომ ოსმალეთის იმპერატორის, სელიმ II-ის ბრძანებით, ეთნიკურად თურქ და ეთნიკურად ბერძენ მოსახლეობას მიეცა შესაძლებლობა, თანასწორ გარემოში აღენიშნათ თავიანთი რელიგიური თუ ტრადიციული დღესასწაულები. მეტიც, სულთნის ბრძანებით, ყველა, ვინც არ დაემორჩილებოდა ამ წესს, დაისჯებოდა [3, 71]. ეს იყო ყველაზე ტოლერანტული პერიოდი, უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში, თურქ და ბერძენ კვიპროსელებს შორის.

1800-იანი წლების დასაწყისში, ოსმალეთის იმპერიის გავლენა შესუსტდა რეგიონზე, რამაც ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებას. კერძოდ, აქტუალური გახდა ე. წ ენოსისის იდეა, რაც გულისხმობდა, კვიპროსის კუნძულზე მცხოვრები ხალხის სურვილს, გაერთიანებულიყვნენ საბერძნეთთან.

კვიპროსზე მიმდინარე პროცესების პარალელურად, გარკვე-

ული გეო-პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა მსოფლიოში. სიტუაცია დაიძაბა რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რაც საბოლოოდ რუსეთ-ოსმალეთის ომით (1878 წ) დასრულდა. მიუხედავად რთული (საომარი) მდგომარეობისა, თურქული მხარე კვიპროსის კუნძულს ომის სამხედრო სტრატეგიის ნაწილად მოიაზრებდა. მართალია, თურქულმა მხარემ კუნძულის ადმინისტრაციული მმართველობა დიდ ბრიტანეთს გადასცა, თუმცა იმ პირობით, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომში ბრიტანეთი ოსმალეთს დაიცავდა და კვიპროსზე სამხედრო ბაზას განათავსებდა [2, 491].

1914 წელს (პირველი მსოფლიო ომის პერიოდში), კუნძულს ბრიტანელები დაეპატრონნენ. ბრიტანეთის ინტერესი კუნძულის მიმართ განპირობებული იყო სუეცის არხზე კონტროლის დამ-ყარების სურვილით. ასევე, ბრიტანეთს გააჩნდა სტრატეგიული გეგმა საბერძნეთთან მიმართებით, კერძოდ, მან მოლაპარაკება სცადა ბერძნებთან და კვიპროსის საბერძნეთთან გაერთიანების მხარდაჭერის სანაცვლოდ, შესთავაზა ომში ანტანტის მხარეს ჩაბმა, თუმცა მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა, რადგან საბერძნეთმა არ ისურვა ომში ჩაბმა [3, 56]. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1923 წელს, შვეიცარიაში (ლოზანა) ხელი მოეწერა „ლოზანას შეთანხმებას“ (ომის დასრულების ხელშეკრულება. მხარეები იყვნენ: თურქეთი, ბრიტანეთი, იაპონია, საბერძნეთი). ამ შეთანხმებით, ევროპაში ახალი გეო-პოლიტიკური წესრიგი დამყარდა, მათ შორის, განისაზღვრა თურქეთის სახელმწიფო საზღვარი, რაც საფუძველი გახდა კვიპროსზე უარს თქმისა [5].

1925 წელს, კვიპროსი ბრიტანეთის კოლონიად გამოც-ხადდა [3, 57]. ინგლისელების მმართველობის პერიოდშიც, კვიპროსის ბერძნულ ნაწილში მცხოვრები კვიპროსელები აქტიურად განიხილავდნენ „ენონისის იდეას“, რის გამოც მწვავ-დებოდა დაპირისპირებები ბერძნულ და თურქულ თემებს შორის. 1931 წელს, კვიპროსელმა ბერძნებმა მოაწყვეს ამბოხება ბრიტანული კოლონიზაციის წინააღმდეგ (ამბოხებულებმა დაწვეს პარლამენტის შენობაც), რასაც ბრიტანელების მწვავე რეაქცია მოჰყვა - დააკავეს როგორც ბერძნული, ისე თურქული

თემის კვიპროსელი აქტივისტები. კვიპროსის ბერძნულ ნაწილში აიკრძალა საბერძნეთის და თურქეთის დროშების ადმინისტრაციულ შენობებზე აღმართვა, ასევე, აიკრძალა თურქეთის და საბერძნეთის ისტორიების სწავლება კვიპროსის სკოლებში. კვიპროსის ბერძნულ თემს აეკრძალა საბერძნეთთან გაერთიანების იდეაზე ფიქრიც კი, თუმცა 1950 წელს, ბერძნულმა თემმა განაახლა ბრძოლა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. განსხვავებით 1931 წლის ამბოხებისგან, 1950 წელს, კვიპროსში მცხოვრები ბერძნული თემის ეკლესიამ (orthodox church) ჩაატარა რეფერენდუმი, რომელშიც კვიპროსელი ბერძნების 95.7%-მა ენოსისის იდეას (ბერძნებთან გაერთიანება) დაუჭირა მხარი, თუმცა შედეგი არ ცნო ბრიტანულმა მხარემ და მას მხარს არც კვიპროსის თურქული თემი უჭერდა [3, 72].

1954 წელს, საბერძნეთმა კვიპროსელი ხალხისთვის თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობის შესახებ თხოვნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას მიმართა, რაზეც გაეროსგან უარი მიიღო, ვინაიდან თურქი კვიპროსელებიც თანაბარი უფლებით სარგებლობდნენ თვითგამორკვევის პროცესში [3, 72]. ამავე წელს, კვიპროსის ბერძნულ ნაწილში შეიქმნა „კვიპროსელი მებრძოლების ეროვნული ორგანიზაცია“ (Ethniki Organosis Kiprion Agoniston-EOKA), რომლის მთავარი მიზანი იყო საბერძნეთთან გაერთიანება. ორგანიზაციას აფინანსებდა კვიპროსის ბერძნული ეკლესია. ეკლესიის ამგვარი ჩართულობა კი იყო ერთგვარი პროტესტი 1950 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების არაღიარების გამო, მიუხედავად იმისა, რომ EOKA-ს მოქმედებები ტერორისტულ ქმედებებად იყო მიჩნეული. მრავალი მკვლევარი EOKA-ს დღესაც მიიჩნევს ტერორისტულ ორგანიზაციად, ვინაიდან მათი საქმიანობა, გარდა ბრიტანელ სამხედროებზე თავდასხმისა, მშვიდობიან მოქალაქეებზე თავდასხმასაც მოიცავდა [3, 73]. 1955 წელს, EOKA ბრძოლის აქტიურ ფაზაში გადავიდა, კერძოდ, გააქტიურდა თავდასხმა ბრიტანელ ჯარისკაცებზე, დაუნდობლად ხოცავდნენ მშვიდობიან მოქალაქეებს, ბავშვებს, ქალებს, უსწორდებოდნენ ყველას, ვინც ენოსისის იდეას ეწინააღმდეგებოდა. მართალია,

EOKA ტერორისტულ ორგანიზაციას უფრო ჰგავდა, ვიდრე თავისუფლებისთვის მებრძოლ ხალხთა გაერთიანებას, თუმცა EOKA-ს ქმედებებით, ენოსისის იდეის (კვიპროსის საბერძნეთთან გაერთიანების მოთხოვნა არა მხოლოდ ბერძნული ნაწილის, არამედ მთლიანად კუნძულის) მხარდამჭერთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, რასაც კვიპროსელი თურქების პროტესტი მოჰყვა [6, 65]. საპასუხოდ, კვიპროსის თურქულმა მოსახლეობამ გასამხედროებული ორგანიზაცია „ვოლკანი“ შექმნა, რომელიც კვიპროსის ორად გაყოფას მოითხოვდა (taksim). ბუნებრივია, საუკუნეების მანძილზე კვიპროსში მცხოვრები კვიპროსელი ბერძნებისთვის ენოსისი მიუღებელი იქნებოდა და მათი სურვილი შეერთებოდნენ თურქეთს ლოგიკურიც კი იყო. მხარეებს შორის ვითარება უკიდურესად დაიძაბა და სიტუაცია სამოქალაქო ომის პირას მივიდა [3, 73]. სიტუაციის განსამუხტად, დაპირისპირებაში დიდი ბრიტანეთი ჩაერთო და კვიპროსელი ბერძენი ეპისკოპოსი (რომელსაც EOKA-ს მხარდაჭერა ბრალდებოდა) ქვეყნიდან გააძევა. ამ ქმედების გამო, თურქეთმა ბრიტანელები კუნძულის ანექსიაში დაადანაშაულა, რამაც სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა. საბოლოოდ, 1958 წელს, ვითარება თურქულ და ბერძნულ თემს შორის, სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდა [2, 493]. განსაკუთრებული სისასტიკე გამოავლინეს კვიპროსელმა ბერძნებმა, ისინი აქტიურად არღვევდნენ კვიპროსელი თურქების უფლებებს. (კვიპროსელი ბერძნები შეიჭრნენ და დაარბიეს კვიპროსელი თურქებით დასახლებული სამი სოფელი). ვითარების განმუხტვის მიზნით, 1958 წელს, კონფლიქტში აშშ-ის მთავრობა ჩაერთო, თუმცა მხოლოდ პოზიციის დაფიქსირებით შემოიფარგლა და საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების მიზნით მოუწოდა დიდ ბრიტანეთს, საბერძნეთსა და თურქეთს კონფლიქტის შეწყვეტისკენ. შემდგომი ნაბიჯი ციურიხ-ლონდონის შეთანხმება იყო.

1959 წელს, „ციურიხი-ლონდონის შეთანხმებით“, რომელსაც ესწრებოდა ბრიტანეთის, საბერძნეთის და თურქეთის პრემიერ-მინისტრები, მხარეები შეთანხმდნენ თემთა შორის ურთიერთობის განმტკიცებაზე (რაც შემდეგ კვიპროსის დამოუკიდებლობას

საფუძვლად დაედო). ყველა კარგად აცნობიერებდა, რომ კვიპროსის საბერძნეთთან გაერთიანებისთვის ბრძოლა საფრთხის შემცველი იყო და თუნდაც შეზღუდული დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭებინათ კვიპროსისთვის. სამივე სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრებმა განაცხადეს, რომ გახდებოდნენ კვიპროსის ტერიტორიული მთლიანობის გარანტორები, ცნობდნენ მათ დამოუკიდებლობას, უარს ამბობდნენ კუნძულის ანექსიაზე ან გამოყოფის მცდელობაზე, თუმცა თუ რომელიმე მათგანი დაარღვევდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დებულებას, მეორე მხარე ინარჩუნებდა სამხედრო ძალის გამოყენების უფლებას. შეთანხმებით, ინგლისი იტოვებდა უფლებას, თავისი სამხედრო ბაზები კუნძულზე შეენარჩუნებინა [7]. საინტერესოა ის გარემოება, რომ გარდა მთავარი აქტორებისა (თურქეთი, ბრიტანეთი, საბერძნეთი) მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ კვიპროსის ორივე თემის წარმომადგენლები. ლონდონში შეხვედრაზე გაჟღერებული იდეა, კვიპროსის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით, იყო პირველი საჯაროდ დაფიქსირებული მოსაზრება, რაც 1960 წელს, გაეროს მიერ კვიპროსის დამოუკიდებლობის აღიარებით დასრულდა. აღნიშნული შეთანხმების მე-4 მუხლი თურქეთმა დაარღვია 1974 წელს ჩრდილოეთ კვიპროსში შეჭრით.

1960 წელს კვიპროსმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ პერიოდში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო დეკლარაცია „კოლონიური ქვეყნების და ხალხების დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ“ [8]. დეკლარაციის მიღება დიდი დარტყმა იყო, ერთი მხრივ, კოლონიზატორი მმართველებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, დიდი გამოწვევა იყო იმდროინდელი მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებისთვის. დეკოლონიზაციის პროცესი კვიპროსსაც შეეხო, რაც საკმაოდ მწვავე პრობლემა იყო თანამეგობრობისათვის, მით უფრო, კვიპროსელ ბერძნებსა და კვიპროსელ თურქებს შორის არსებული უკიდურესად დაძაბული ვითარების გათვალისწინებით. კვიპროსის ტერიტორიული ადმინისტრირების სწორი პოლიტიკის ჩამოყალიბებას, თავდაპირველად კვიპროსელი ბერძნების საბერძნეთთან შეერთების იდეამ შეუშალა ხელი, თუმცა დიდი ბრიტანეთის აქტიურმა ჩართვამ

ენონისის აღმოფხვრის პროცესში, გააძლიერა თურქული თემის ინტერესი teksim-ის ანუ გამოყოფის და თურქეთთან შეერთების მიმართ.

საერთაშორისო სამართლის სუბიექტად კვიპროსის აღიარებით, საერთაშორისო თანამეგობრობამ თითქოს „გადაჭრა" საუკუნოვანი პრობლემა. ერთი მხრივ, კვიპროსულ ბერძნულ თემსა და საბერძნეთს შორის ენოსისის იდეის განხორციელებაზე მოთხოვნა შესუსტდა და, მეორე მხრივ, კვიპროსის თურქულ თემსა და თურქეთს შორის ინტერესი შემცირდა. ასევე, ბრიტანეთს მოუწია უარი ეთქვა კვიპროსში კოლონიურ რეჟიმზე, ხოლო თავად კვიპროსს – ტერიტორიის ადმინისტრირებისთვის გარკვეული ნაბიჯების გადადგმაზე. კვიპროსის კონსტიტუციის თანახმად, კვიპროსის ბერძნულ და თურქულ თემს თანაბრად მიენიჭა საკანონმდებლო ვეტოს უფლება [2, 493], კერძოდ, ლონდონის შეთანხმებისა და კვიპროსის კონსტიტუციის საფუძველზე, დაარსდა ორი პალატა: ბერძნული თემთა პალატა და თურქული თემთა პალატა. გარდა ამისა, განისაზღვრა, რომ კვიპროსის პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო ეთნიკურად ბერძენი, ხოლო ვიცე პრეზიდენტი – ეთნიკურად თურქი [2, 495]. მიუხედავად თანაბარი საკონსტიტუციო უფლებებისა, ბერძნულ და თურქულ თემებს შორის მაინც გაჩნდა უკმაყოფილება სახელმწიფო მმართველობის საკითხებთან დაკავშირებით. საკითხის მიმართ განსაკუთრებულ შეშფოთებას კვიპროსის თურქული თემი გამოთქვამდა და ბერძნულ ნაწილს შევიწროებაში ადანაშაულებდა, რასაც შეიარაღებული შეტაკებები მოჰყვა. 1960 წელს, კვიპროსის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღება უნდა ყოფილიყო ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი, თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, კვიპროსის რესპუბლიკაში განვითარებულმა მოვლენებმა და პოლიტიკურმა ქაოსმა, მთელი რიგი ცვლილებები გამოიწვია. ამ პროცესებმა კიდევ უფრო გააძლიერა თურქეთსა და საბერძნეთს შორის დაპირისპირება და დაძაბულობა, რამაც ხელი შეუწყო კუნძულზე მცხოვრებ თურქულ და ბერძნულ თემებს შორის ეთნიკური უთანხმოების გაღრმავებას [3, 75-76].

კვიპროსის ბერძნულ და თურქულ თემებს შორის სიტუა-

ცია დღითიდღე მწვავდებოდა. სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, 1964 წელს, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც, გაეროს მშვიდობისმყოფელები ჩადგებოდნენ ე. წ „მწვანე ხაზის“ გასწვრივ, რაც კონფლიქტის დეესკალაციას შეუწყობდა ხელს. კონფლიქტი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსაც დიდ საფრთხეს უქმნიდა, რადგან ეს არ იყო კონფლიქტი მხოლოდ ორ თემს შორის, მასში ერთმანეთის წინააღმდეგ გამოდიოდნენ საბერძნეთი და თურქეთი, რომლებიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები იყვნენ [9, 59]. კუნძულზე სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა 1967 წლის აპრილის შემდეგ, როდესაც საბერძნეთში მოხდა არეულობა. გადატრიალების საფუძველზე ხელისუფლებაში მოვიდა სამხედრო ხუნტა. აღნიშნული რევოლუცია ისტორიაში „შავი პოლკოვნიკების“ დიქტატურის სახელწოდებით არის ცნობილი. საბერძნეთში მოსულმა ახალმა „ხელისუფლებამ“ კვიპროსის არმიის მეთაურს დაავალა კუნძული სასწრაფოდ გაეთავისუფლებინა თურქული საჯარისო ელემენტებისგან და კვიპროსის საბერძნეთთან შეერთების პროცესი დაეწყო [10, 30]. 1974 წელს, კვიპროსის ეროვნულმა არმიამ ამბოხებები დაიწყო. ამბოხებულთა მიზანი იყო კვიპროსის საბერძნეთთან შეერთება. მათ შეძლეს და გადააყენეს კვიპროსის პრეზიდენტი და ეპისკოპოსი. პრეზიდენტად კი აირჩიეს ნიკოლას სამპსონი. სამპსონის განკარგულებით, დაიწყო ბრძოლა კვიპროსელი ბერძნების წინააღმდეგ, რომლებიც კვიპროსის სახელმწიფო დამოუკიდებლობას ითხოვდნენ. ამასთან, ანადგურებდნენ კვიპროსელ თურქებსაც. ასეთ ვითარებაში თურქეთის ხელისუფლება მშვიდად ვერ იქნებოდა, ამიტომ თურქი მოსახლეობის ბერძნული აგრესიისაგან თავდაცვის მიზნით, კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში ჯარები შეიყვანა [10, 40].

1974 წელს, თურქეთმა სამხედრო დესანტი გადაიყვანა კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში, იმ მოტივით, რომ თურქი კვიპროსელები შევიწროებას განიცდიდნენ ბერძენი კვიპროსელების მხრიდან. ამ აქტით, თურქეთმა ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპაცია მოახდინა. თურქების მხრიდან კვიპროსის ოკუპაცია გარკვეული თავისებურებით ხასიათდებოდა, კერძოდ, თურქეთს

კვიპროსის შეერთება არ უცდია, მას სურდა შეექმნა „კვიპროსის ფედერაციული მოწყობის სახელმწიფო“ და 1975 წელს შექმნა „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული ფედერაცია“, რომელიც მხოლოდ ფორმალურად რჩებოდა კვიპროსის შემადგენლობაში [2, 496-497]. ამ ფაქტს გაეროს მხრიდან თურქეთისთვის სანქციების დაწესება მოჰყვა. თურქეთს მოეთხოვა არ ჩარეულიყო თემთა შორის კონფლიქტში, თუმცა გაეროს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და 1983 წელს თურქეთის რესპუბლიკამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა ე.წ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა [9, 103]. თურქეთის იმჟამინდელმა სახელმწიფო მეთაურმა მიზანმიმართული პოლიტიკა გაატარა და ჩრდილოეთ კვიპროსში ასი ათასზე მეტი ეთნიკურად თურქი ჩაასახლა. ამ პროცესის შედეგად, კუნძულ კვიპროსზე ეთნიკურად თურქი მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. მოსახლეობის ზრდა კი ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის გაღრმავების პირდაპირპროპორციული იყო. ჩასახლების ამგვარი პოლიტიკა კვიპროსელ ბერძნებს აიძულებდა დაეტოვებინათ ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე თავიანთი საცხოვრებელი სახლები.

გაეროს უშიშროების საბჭოს 1992 წლის რეზოლუციით განისაზღვრა, რომ თურქეთს, როგორც მხარეს, უნდა შეეწყვიტა ჩარევა შეიარაღებულ დაპირისპირებაში და დაევალა ჯარების გაყვანა. რეზოლუცია ითვალისწინებდა კვიპროსის ფედერაციის შემადგენლობაში ორი თანასწორი თემის არსებობას. ორივე მხარეს აეკრძალა რომელიმე სახელმწიფოსთან გაერთიანება ან ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფა [11].

მიუხედავად ბევრი მცდელობისა, მოლაპარაკებები თურქულ და ბერძნულ მხარეებს შორის უშედეგოდ მიმდინარეობდა. დღეს, კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილი თურქეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად რჩება.

არსებული ვითარების გათვალისწინებით, კუნძული დაყოფილია ოთხ ზონად: კვიპროსის რესპუბლიკა (ბერძნული სამხრეთ კვიპროსი, თურქეთის მიერ არაღიარებული), ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა (აღიარებულია თურქეთის მიერ),

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ კონტროლირებადი მწვანე ხაზი, რომელიც ყოფს ტემტონებს და ბრიტანელების ბაზის ორ ზონას.

ამრიგად, კვიპროსის კუნძულის ისტორიის კომპლექსურმა შესწავლამ ცხადყო აქ არსებული ეთნიკური კონფლიქტის მიზეზი – მრავალი საუკუნის განმავლობაში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, კულტურული თუ რელიგიური ნიშნით განსხვავებული ორი თემის: ბერძენი კვიპროსელებისა და თურქი კვიპროსელების, თანაცხოვრება. კვიპროსის თემებს შორის კონფლიქტის პროვოცირებაში ოსმალეთის იმპერიის მმართველობის პერიოდმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, რაც ელინისტური და ოსმალური კულტურების დაპირისპირებაში გამოიხატა. მოგვიანებით, ბრიტანეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი კვალი დაატყო კუნძულს. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა სამხედრო ბაზების კუნძულზე განთავსების საკითხი. სწორედ ბრიტანული კოლონიზაციის პერიოდში გამწვავდა ურთიერთობა ბერძნულ და თურქულ თემებს შორის – დავის საგანი გახდა კუნძულის სტატუსი და მისი ადმინისტრირების სამართლებრივი ფორმა. საბერძნეთს სურდა კუნძულის საბერძნეთის ფარგლებში გაერთიანება (ენოსისის განხორციელება), რასაც კვიპროსელი ბერძნები აქტიურად უჭერდნენ მხარს, თურქეთი კი აღნიშნულის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ბრიტანეთი მხარს უჭერდა კვიპროსის დასუსტებას, თავისი გეო-პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ, კუნძულის ორ მარტივად კონტროლირებად ნაწილად დაყოფით, ის ეცდებოდა საკუთარი ინტერესების გატარებას ხმელთაშუა ზღვაზე, რათა მოეპოვებინა სუეცის არხზე კონტროლი. ამ კონფლიქტში ნათლად გამოიკვეთა გარე აქტორების როლი, მათი სურვილები და ინტერესები კონფლიქტის შემდგომი განვითარებისა თუ გადაჭრის გზების ძიების პროცესში.

კვიპროსის კონფლიქტის გენეზის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი: საწყისი ეტაპი (ინგლისის კოლონიური მმართველობის პერიოდში) – პირველი შეტაკება გასამხედროებულ ბერძნულ და თურქულ თემებს შორის; 1960-1963 წლები – ენოსისის უმაღლესი გამოხატულება კუნძულ კვიპროსზე, შეტაკებები

ბერძნული თემის მხრიდან კუნძულ კვიპროსზე სრული კონტროლის მოსაპოვებლად (მხარდაჭერილი საბერძნეთის მიერ); 1963-1974 წლები – კვიპროსის აღიარება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აქტიური ჩართულობა, კონფლიქტის მოგვარების მცდელობა; 1974-1983 წლები – კონფლიქტის გამწვავება. თურქეთის მიერ კვიპროსის ოკუპირება და კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილის თურქეთის მხრიდან აღიარებით ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის გამოცხადება, რამაც კუნძულის ორად გაყოფა გამოიწვია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა :

1. Cyprus Population 2022, იხ., http://worldpopulationreview.com/countries/cyprus-population/ უკანასკნელად გადამოწმებულია 03.05.2022.
2. მალაშხია შ., კონფლიქტების ანატომია, სტამბა „ფორმა“, თბილისი, 2011.
3. Carter J., Irani G., Volkan V., Regional and Ethnic conflicts Perspectivs from the front lines, 2009.
4. Luke H., Cyprus under Turks 1715-1878, London: Clarendon Press, 1921
5. Treaty of Peace with Turkey Signed at Lausanne, 24/07/1983.https://wwi.lib.byu.edu/index.php/Treaty_of_Lausanne უკანასკნელად გადამოწმებულია 03.05.2022.
6. კიკნაძე თ., ეთნოკონფესიონალურ ურთიერთობათა ევოლუცია კვიპროსზე 1878-1992 წლებში, სადოქტორო დისერტაცია, 1993.
7. Memorandum Setting ut the agreed foundation for the final Settlement of the problem of Cyprus, Documents signed and initialled at Lancaster House on 19 February 1959. https://www.embargoed.org/wp-content/uploads/2018/02/1959_London_and_Zurich_-Agreements.pdf უკანასკნელად გადამოწმებულია 03.05.2022.
8. Декларация о предоставлении независимости колониальным странам и народам, 14/12/1960. https://

www.un.org/ru/documents/decl_conv/declarations/colonial.shtml უკანასკნელად გადამოწმებულია 03.05.2022.
9. Шмаров В., Кипр в средиземноморской политики НАТО, Москва, 1982.
10. მაკარაძე ე., გოგიტიძე მ., კვიპროსის საკითხი აღმოსავლურ პოლიტიკაში XX საუკუნის 60-80-იან წლებში, ბათუმი, 2000.
11. United Nations Security Council, Resolution 750, 1992. https://bit.ly/3w43nLx უკანასკნელად გადამოწმებულია 03.05.2022.

Khatia Vasadze

Georgian Technical University, Faculty of Law and International Relations, Doctoral Student

ANATOMY OF CYPROS CONFLICT – REASONS AND RESULTS

Summary

The Mediterranean region is one of the problematic parts of modern international relations, which is reflected in the conflict between the Turks and the Greeks on the Cyprus peninsula. One of the main reasons for the conflict is the ethnic diversity of Cyprus.

Author reviews chronologically and in detail the historical development of Cyprus, analyzes the mainc issues, that caused the conflict and ongoing situation with current challenges. The author also mentions the aspects of positive transformation of conflict and the ways of peaceful settlement of given conflict..